ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №231

ქ. ბათუმი 14 დეკემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ალექსანდრე მითიშვილის სახით, (შემდგომში – "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ სს „ეი-ბი-სი ფარმაცია", მისი აღმასრულებელი დირექტორის მიხეილ აბრამიძის სახით (შემდგომში – "მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე (SMP160003218) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის მედიკამენტების შესყიდვა. მედიკამენტების გაცემა უნდა იწარმოოს ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მიწოდებული სიების საფუძველზე, ერთ რომელიმე შერჩეულ აფთიაქში. პუნქტებს შორის გადანაწილება მოხდება მომხმარებელთა საჭიროებიდან გამომდინარე, ფორმა 100 შესაბამისად (CPV33600000-ფარმაცევტული პროდუქტები), (შემდგომში – „საქონელი"), შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ფასი შეადგენს 12009,60 (თორმეტი ათას ცხრა ლარი და 60 თეთრი) ლარს.

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს ხელშეკრულების ინსპექტირებას.

3.2. მიმწოდებლის მიერ მოსაწოდებელ ან უკვე მოწოდებულ საქონელზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

3.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს საქონლის მოწოდების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს საქონლის მიღება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს მხოლოდ ის საქონელი, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

3.7. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, მოწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი გულნაზ ბოლქვაძე. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3.8. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლის, მოწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.7. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე მოწოდებული საქონლის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4. საქონლის შესაბამისობა და მიღება-ჩაბარება

4.1. საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს.

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.5. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ბენეფიციარებზე გაცემული წამლების დამადასტურებელი ზონარაყრილი წიგნისა და წერილობით მომართვაზე თანდართული

„შემსყიდველი" (ხელმოწერა)

„მიმწოდებელი" (ხელმოწერა)

სახელობითი სიების (გაცემული წამლების ერთეულის ფასის, რაოდენობისა და ღირებულების ჩვენებით) საფუძველზე.

4.6. მიწოდების საბოლოო ადგილია ქ. ბათუმი მელიქიშვილის ქ.№18/გორგასალის ქ.№92 სს „ეი-ბი-სი ფარმაცია"-ს აფთიაქი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.

ბ) საქონლის მიწოდების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, საქონლის მიწოდების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) შემსყიდველის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საქონელი.

გ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელსეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

8.2. მედიკამენტების გაცემა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მიწოდებული სიების საფუძველზე.

8.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. გარანტია

12.1. მოწოდებული საქონლის/ მედიკამენტის ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1 (ერთი) წელს.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

12.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. სხვა პირობები

14.1. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826;
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე ალექსანდრე მითაიშვილი

„მიმწოდებელი“

სს „ეი-ბი-სი ფარმაცია“
ს. კ. 204927767 მის: ქ. თბილისი,
სანაპიროს 10 ², ს.ს. „თიბისი ბანკი“,
მარჯანიშვილის ფილიალი ბ/კ:
TBCBGE22,ანგ.№GE11TB1100000015467715
ტელ: 597 22 95 98, 2 911 900
აღმასრულებელი დირექტორი:
მიხეილ აბრამიძე

„შემსყიდველი“
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)

დანართი:

ფასების ცხრილი

#	ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)	პაციენტების რაოდენობა	თვეში საჭირო აბების რაოდენობა ერთ სულზე	ღონისძიების ხანგრძლივობა	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ლარი)
1	გლიკლაზიდი 30მგ	აბი	1 აბი mr 60მგ 0.26 ლარი	900	30	1	7,020.00
2	გლიმეპირიდი 2მგ /მეტფორმინი500მგ	აბი	1 აბი 0.42 ლარი	396	30	1	4,989.60
			სულ ჯამი				12,009.60

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080194880422716

 # 3521

13 / დეკემბერი / **2016** წ.

თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2016 წლის 7 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერიის SMP160003218 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ეპილეფსიით და მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთათვის მედიკამენტების (CPV 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია ეპილეფსიით და მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა (ბენეფიციართა) ზრდის გამო. დაავადებულ პაციენტთათვის მედიკამენტების მიღება პათოლოგიებიდან გამომდინარე სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო, რომ პაციენტთა რაოდენობის ზრდის გამო საჭირო გახდებოდა დამატებითი ტენდერის გამოცხადება მედიკამენტების შესასყიდად, თუმცა არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აიკრძალა საარჩევნო სუბიექტების, კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, სხვა მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეთა გადაცემა ან დაპირება, ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, ვერ განხორციელდა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და შესაბამისად შესყიდვების გეგმის ცვლილება, რათა დროულად გამოცხადებულიყო მოწყვლადი ჯგუფებისათვის ელექტრონული ტენდერი მედიკამენტების შეძენაზე.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, თუ არ განხორციელდა ეპილეფსიით და მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით დროული უზრუნველყოფა, საფრთხე შეექმნება მათ სიცოცხლეს. ბენეფიციარებს მიეკუთვნება ქ. ბათუმში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებული 19 წლამდე ასაკის მოზრდილები, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები და პენსიონერები.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია ეპილეფსიით და მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა (ბენეფიციართა) რაოდენობის ზრდით. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, მოკლებული იყო შესაძლებლობას შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებები განეხორციელებინა 2016 წლის 9 აგვისტოდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე. ამასთან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში ეპილეფსიით და მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტების სიცოცხლეს შეექმნება საფრთხე. აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერიის SMP160003218 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 14 დეკემბერი 2016 წ.

ვადასტურებ, რომ მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის მედიკამენტების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ალექსანდრე მითაიშვილი